

**"ეფექტური ადგილობრივი ხელისუფლება - თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან მოქალაქეების საჭიროებათა გადასაწყვეტად"**

ივნისი-დეკემბერი 2010 წელი. დაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, განხორციელდა ქალაქ პოზნანის მერიის ხელმძღვანელობით

ეს პროექტი წარმოადგენდა ქუთაისსა და პოზნანს შორის 2009 წელს დაწყებული ერთობლივი პროექტის გაგრძელებას. პროექტის ფარგლებში ქუთაისის მერიის 4 და სააგენტოს 2 თანამშრომელი 2 თვის განმავლობაში სასწავლო პრაქტიკით იმყოფებოდნენ ქალაქ პოზნანში, სადაც გაეცნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გამოცდილებას არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის შესახებ, ასევე მონაწილეობა მიიღეს სპეციალურად მათთვის მომზადებულ სასწავლო კურსებში. პროექტის დასრულების შემდეგ მონაწილეები გააგრძელებენ მუშაობას მიღებული გამოცდილების საფუძველზე ქუთაისში ხელისუფლებასა და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის კიდე უფრო გაძლიერებაზე. პროექტის პარტნიორების ასევე იყვნენ "ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია" (საფრანგეთი) და ფონდი "ადგილობრივი ხელისუფლების პარტნიორები" (პოლონეთი)